

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომის

ოქმი № 08

29 ივლისი 2022 წ.

ქ. თელავი

სხდომას ესწრებოდნენ: 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად არჩეული 33 დეპუტატი :

თავმჯდომარეობდა: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე -

თენგიზი მთვარელიშვილი;

ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

მამუკა ბურდიაშვილი;

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

ალექსანდრე მათირიშვილი;

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

მიხეილ დაღუნდარიძე;

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და

იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

ლევან ბერძენაშვილი;

საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე

ზურაბ ლილუაშვილი;

საკრებულოს სოციალური, კულტურის,
განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა
კომისიის თავმჯდომარე

გიორგი ხაჭაპურიძე;

საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თინათინ ხანჯალაიაშვილი;

საკრებულოს ფრაქციის
„ქართული-ოცნება დემოკრატიული საქართველო“
თავმჯდომარე

დავით ლაღანიძე;

საკრებულოს ფრაქციის
„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“

თავმჯდომარე

ალექსი ბულიაშვილი;

საკრებულოს ფრაქციის „ქართული-ოცნება დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილეები: თამარ ხატიაშვილი, ოთარ ესიტაშვილი, ზურაბ მუსაევი, უჩა ჭოტიაშვილი, ზაზა ტატულიშვილი.

საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილეები: ბაადურ რევაზიშვილი, აბრამ მახარიაშვილი, გელა ჭვრიტიძე, გიგი გიგიტელაშვილი, ეთერი გურგენაშვილი.

საკრებულოს წევრები: ივანე კირვალიძე, გივი ლაფაური, ანა ოთარაშვილი, გიორგი ქართლელიშვილი, ბაადურ გულიაშვილი, ზაქარია გრიშკაშვილი, ნინო ომანიძე, იმედა კველიშვილი, ივანე დალაქიშვილი, ნატალია ბახსოლიანი, რუსუდანი იმერლიშვილი, რამაზ ჩეკურიშვილი, გელა ესიტაშვილი (რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის).

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

თელავის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ნიკოლოზ მეტრეველი;

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ნათია ვაყელიშვილი;

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი თამარ ზაზანაშვილი;

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი გიორგი ენუქიძე;

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსის მ/შემსრულებელი დავით ქსოვრელიშვილი;

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის, ძეგლთა დაცვის განყოფილების უფროსი ლიკა ალადაშვილი, უფროსი სპეციალისტი გოგა მთვარელიშვილი;

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის, ქონების მართვის განყოფილების უფროსი დიმიტრი ზაქაძე, უფროსი სპეციალისტი ლალი მერაბიშვილი;

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი სპეციალისტები: ანა ფეიქრიშვილი და მარიამ ლილუაშვილი;

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ტარიელ გალახვარიძე;

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილების უფროსი/აპარატის უფროსის მ/შ ნინო ტაბიძე.

საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეები;

მასობრივი საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენლები;

მოქალაქე: არჩილ მჭედლიშვილი.

თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და სხდომაზე დამსწრე საკრებულოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

ლ. ბერძენაშვილმა წესრიგში შესატანად წარმოადგინა დამატებითი საკითხი: „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიული კომისიის თავმჯდომარის შევებულების ცნობად მიღების შესახებ“.

ასევე დღის წესრიგში შესატანად წარმოადგინა დამატებითი საკითხი ნ. ვაყელიშვილმა: „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №03 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე. - ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“.

წარმოდგენილი ცვლილებების გათვალისწინებით დღის წესრიგის დამტკიცებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა. დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი რედაქციით:

დღის წესრიგი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №03 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ნ.მეტრეველი
თანამომხს. ნ.ვაყელიშვილი
12.00 სთ-დან - 12.20 სთ-მდე

2. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისათვის დასაფინანსებლად წარსადგენი თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ;

მომხს. ნ.მეტრეველი
თანამომხს. დ.ქსოვრელიშვილი
12.20 სთ-დან - 12.30 სთ-მდე

3. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების (ავტოსატრანსპორტო საშუალება) საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ;

მომხს. ნ.მეტრეველი
თანამომხს. ზ.სახიაშვილი
12.30 სთ-დან - 12.40 სთ-მდე

4. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 იანვრის №05 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტში 2022 წელს განსახორციელებელი ძეგლთა დაცვის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ნ.მეტრეველი
თანამომხს. ლ.ალადაშვილი
12.40 სთ-დან - 12.50 სთ-მდე

5. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული გაზსადენი მილის ქსელის შ.პ.ს. „თელავგაზისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს. ნ.მეტრეველი
თანამომხს. ზ.სახიაშვილი
12.50 სთ-დან - 13.00 სთ-მდე

6. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „საქართველოს საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის ასოციაციისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე

მომხს. ნ.მეტრეველი
თანამომხს. ზ.სახიაშვილი
13.00 სთ-დან - 13.10 სთ-მდე

7. „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 მაისის №11 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფისა და შეღავათების დადგენის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე“ - ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ;

მომხს. ნ.მეტრეველი
თანამომხს. ა.ფეიქრიშვილი
13.10 სთ-დან - 13.20 სთ-მდე

8. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარის ლევან კოჭლოშვილის თანამდებობიდან გადადგომის ცნობად მიღების შესახებ.

მომხს. ლ.ბერძენაშვილი
13.20 სთ-დან - 13.30 სთ-მდე

9. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სანამდატო, სპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის შვებულუბის ცნობად მიღების შესახებ.

მომხს. ლ.ბერძენაშვილი
13.30 სთ-დან - 13.40 სთ-მდე

10. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №03 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე- ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

მომხს. ნ. ვაყელიშვილი
13.40 სთ-დან - 13.50 სთ-მდე

1.მოისმინეს: „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №03 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხს. ნ.მეტრეველი
თანამომხს. ნ.ვაყელიშვილი
12.00სთ-დან - 12.20სთ-მდე

2022 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები წარმოადგინა ნ. მეტრეველმა, ხოლო პროექტით გათვალისწინებულ ცვლილებებზე დეტალურად ისაუბრა ნ. ვაყელიშვილმა.

აზრი გამოთქვს: ი. კირვალიძემ დასვა კითხვა გარე განათების რეაბილიტაციის თანხების ეკონომიასთან დაკავშირებით და მან აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტში ჯერ კიდევ არსებობს გარე განათებასთან დაკავშირებული პრობლემები.

ლ. ბერძენაშვილმა დასვა კითხვა ახალგაზრდული ინიციატივების და სამედიცინო მედიკამენტების დაფინანსებისთვის გამოყოფილი თანხების გაზრდის თაობაზე.

ბ. რევაზიშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ სამედიცინო მედიკამენტების დასაფინანსებლად თანხის გაზრდის საკითხი დეტალურად უნდა განხილულიყო კომისიის სხდომაზე.

დასმულ შეკითხვებს უპასუხა ნ. ვაყელიშვილმა და განმარტა, რომ სამედიცინო მედიკამენტების დაფინანსებისთვის გამოყოფილი თანხის გაზრდა ხორციელდება დიალიზის პროგრამიდან გამოთავისუფლებული თანხიდან. დიალიზის პროგრამაში აღნიშნული თანხა ნახევარი წელი არ გახარჯულა და საჭიროებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია მისი გადატანა სამედიცინო მედიკამენტების დაფინანსების პროგრამაში. რაც შეეხება ახალგაზრდულ ინიციატივებს, მან განმარტა, რომ ახალგაზრდული ინიციატივების დაფინანსებისათვის გათვალისწინებული თანხა მიიმართება ისევე ახალგაზრდულ სფეროში და ამ თანხით, თელავის მუნიციპალიტეტის 22 სოფელში განთავსდება ენერგოეფექტური სკამები.

გ. გიგიტელაშვილმა დასვა კითხვა, თუ რატომ ვერ ხდება ახალგაზრდული ინიციატივების დაფინანსება. რაზეც მ. ბურდიაშვილმა განმარტა, რომ ახალგაზრდულ ინიციატივებთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის საკრებულოში მიღებულია ახალგაზრდული ინიციატივების დაფინანსების წესი, მაგრამ პრობლემა არსებობს წესის აღსრულებასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ მიმდინარეობს ამ საკითხზე მუშაობა და აღსრულებასთან დაკავშირებული ხარვეზების გასწორება.

ი. კველიშვილმა აღნიშნა, რომ საკრებულოში ახალგაზრდებმა გააკეთეს ოთხი ახალგაზრდული ინიციატივის პრეზენტაცია და მან დასვა კითხვები: თუ რა ნაბიჯები იქნა გადადგმული მუნიციპალიტეტის მხრიდან აღნიშნული პროექტების დაფინანსებისთვის და ასევე სსიპ - ქ. თელავის ვაჟა ფშაველას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის დაფინანსებასთან დაკავშირებით. ახალგაზრდული ინიციატივების შესახებ მ. ბურდიაშვილმა გააკეთა განმარტება, რომ ზემო აღნიშნული ინიციატივების პრეზენტაცია განხორციელდა მოქალაქე ა. მჭედლოშვილის ინიციატივით და მასთან შეთანხმებული და დაგეგმილია ახალგაზრდული ინიციატივების დეტალურად და სრულფასოვნად განხილვა. ხოლო ქ. თელავის ვაჟა ფშაველას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის დაფინანსებასთან

დაკავშირებით ნ. ვაყელიშვილმა განმარტა, რომ გათვალისწინებულია 13.000 ლარი ქ. ფოთში, რეგიონალური და საერთაშორისო ფესტივალში თელავის თეატრის მონაწილეობის თანადაფინანსებისათვის.

მოქალაქე ა. მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ თელავი პირველი მუნიციპალიტეტია, სადაც შემუშავებული იქნა ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი. მან გამოთქვა მოსაზრება, რომ ძალიან კარგია მუნიციპალიტეტის სოფლებში ენერგოეფექტური სკამების განთავსება, მაგრამ მისი აზრით აღნიშნული საკითხის დაფინანსება ახალგაზრდული ინიციატივების მუხლიდან არ არის სწორი გადაწყვეტილება.

ახალგაზრდულ ინიციატივებთან დაკავშირებით თ. მთვარელიშვილმა გააკეთა განმარტებები და აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის და საზოგადოებისთვის სასარგებლო ყველა კარგ იდეას ექნება მაქსიმალური მხარდაჭერა.

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 19-მა (ცხრამეტი) წევრმა, წინააღმდეგი 02(ორი) წევრი: ი. კველიშვილი, ბ. გულიაშვილი, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 12-მა (თორმეტი) წევრმა: გ. გიგიტელაშვილმა, ბ. რევაზიშვილმა, ე. გურგენიშვილმა, რ. იმერლიშვილმა, ნ. ომანიძემ, ა. მახარიაშვილმა, ზ. გრიშკაშვილმა, გ. ჭვრიტიძემ, ა.ბულიაშვილმა, რ.ჩეკურიშვილმა, ი.დალაქიშვილმა, ნ.ბახსოლიანმა).

2. მოისმინეს: საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისათვის დასაფინანსებლად წარსადგენი თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ;

მომხს. ნ.მეტრეველი
თანამომხს. დ.ქსოვრელიშვილი
12.20 სთ-დან - 12.30 სთ-მდე

აზრი გამოთქვას: გ. გიგიტელაშვილმა აღნიშნა, რომ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფარგლებში დაწყებულია ალაზნის გამზირის მოასფალტება და უმჯობესი იქნება თუ აღნიშნული სამუშაოები დასრულდება და შემდეგ რეაბილიტირდება სხვა ქუჩები. ასევე მან აღნიშნა, რომ განსახორციელებელი პროექტების ნუსხაში არ არის გათვალისწინებული სოფელ კურდღელაურში გზის მოასფალტება. აღნიშნულთან დაკავშირებით დ. ქსოვრელიშვილმა განმარტა, რომ მიმდინარეობს პროექტის შემუშავება, სადაც გათვალისწინებულია სოფელ კურდღელაურში გზის მოასფალტება და უახლოეს მომავალში პროექტი მოსაწონებლად წარედგინება მუნიციპალიტეტის საკრებულოს. მან ასევე განმარტა, რომ ალაზნის გამზირის გზის მოასფალტება აუცილებლად დასრულდება, მაგრამ მას შემდეგ რაც სრულად დასრულდება კავკასიონის ქუჩის რეაბილიტაციის სამუშაოები.

გადაწყვეტეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 27-მა (ოცდაშვიდმა) წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 6-მა (ექვსი) წევრმა: რ. ჩვეურიშვილმა, ე. გურგენაშვილმა, ნ. ომანიძემ, გ. ჭვრიტიძემ, ნ. ბახსოლიანმა, ი. დალაქიშვილმა).

3. მოსმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების (ავტოსატრანსპორტო საშუალება) საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ;

მომხს. ნ. მეტრეველი
თანამომხს. ლ. მერაბიშვილი
12.30 სთ-დან - 12.40 სთ-მდე

გადაწყვეტეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 26-მა (ოცდაექვსმა) წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 7-მა (შვიდი) წევრმა: რ. ჩვეურიშვილმა, ე. გურგენაშვილმა, ნ. ომანიძემ, გ. ჭვრიტიძემ, ნ. ბახსოლიანმა, ი. დალაქიშვილმა, ა. მახარიაშვილმა).

4. მოსმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 იანვრის №05 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტში 2022 წელს განსახორციელებელი ძეგლთა დაცვის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ნ. მეტრეველი
თანამომხს. ლ. ალადაშვილი
12.40 სთ-დან - 12.50 სთ-მდე

აზრი გამოთქვას: ბ. რევაზიშვილმა, ი. კველიშვილმა, ბ. გულიაშვილმა დასვეს კითხვა იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ ვერ იქნა განხორციელებული ის პროექტები, რომლებიც უკვე 7 თვეა გათვალისწინებულია ძეგლთა დაცვის პროგრამაში. შეკითხვას უპასუხა ლ. ალადაშვილმა და განმარტა, რომ ვინაიდან პროგრამაში გათვალისწინებული პროექტების გამოკვლევა სრულყოფილად ვერ იქნა განხორციელებული და არსებული თანხები არ აღმოჩნდა საკმარისი მათი სისრულეში მოსაყვანად, მიზანშეწონილია განხორციელდეს უკვე სრულყოფილი პროექტი, კერძოდ: „დაბახნებს წყარო“-ს რეაბილიტაცია. მან აღნიშნა, რომ „დაბახნების წყარო“-ს რეაბილიტაციის პრიორიტეტულობა გამომდინარეობს იქიდან, რომ ეს არის 2017 წელს შესყიდული პროექტი, რომელიც უნდა დაფინანსებულიყო ევროკავშირისგან, დაფინანსებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენდა ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ აღნიშნული პროექტის დადებითად შეფასება, ვინაიდან ვერ განხორციელდა დადგენილ ვადებში დადებითი შეფასება, პროექტის დაფინანსება აუცილებელი გახდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან. მან ასევე აღნიშნა რომ ის პროექტები, რომლებიც მანამდე იყო ძეგლთა დაცვის პროგრამებში გათვალისწინებული აუცილებლად განხორციელდება მოგვიანებით (სპეციფიკური არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარების შემდგომ).

გადაწყვეიტეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 26-მა (ოცდაექვსი) წევრმა, წინააღმდეგი 02(ორი) წევრი: ბ. გულიაშვილი, ზ. გრიშკაშვილი, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 05-მა(ხუთი) წევრმა: რ. ჩეკურიშვილმა, გ. ჭვრიტიძემ, ა. მახარიაშვილმა, ნ.ბახსოლიანმა, ი.დალაქიშვილმა).

5.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული გაზსადენი მილის ქსელის შ.პ.ს. „თელავგაზისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს. ნ.მეტრეველი
თანამომხს. ლ. მერაბიშვილი
12.50 სთ-დან - 13.00 სთ-მდე

აზრი გამოთქვას: ი. კირვალიძემ, ლ. ძულიაშვილმა, ბ. რევაზიშვილმა დასვეს კითხვა საიჯარო ქირის რაოდენობასთან დაკავშირებით. კითხვებს უპასუხა ლ. მერაბიშვილმა და განმარტა, რომ საიჯარო ქირა ნაანგარიშებია კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც გულისხმობს, რომ საიჯარო ქირა არ უნდა იყოს ქონების პირველადი ღირებულების 5%-ზე მეტი.

ლ. ბერძენაშვილმა აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული გაზსადენი მილებიდან, მუნიციპალიტეტი მატერიალური სახით სარგებელს ვერ იღებდა და დღეს - დღეობით წინგადადგმული ნაბიჯია ის, რომ საიჯარო ქირის სახით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი იზრდება გარკვეული თანხით. მან ასევე აღნიშნა, რომ გაზსადენი მილები ძველია და მათ შეკეთებას უზრუნველყოფს კომპანია, აქედან გამომდინარე საიჯარო ქირის გაზრდა არ არის მიზანშეწონილი.

ა. შათირიშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ საიჯარო ქირის გაზრდით შესაძლებელია კომპანიამ უარი განაცხადოს გაზსადენი მილებით სარგებლობაზე, რითაც რეალურად დაზარალდება მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლები.

ა. მახარიაშვილმა აღნიშნა, რომ კომპანია მოსახლეობას უზრდის გაზის გადასახადს. შესაბამისად, მიზანშეწონილი იქნება თუ მუნიციპალიტეტიც გაუზრდის კომპანიას საიჯარო ქირის თანხას.

ბ. გულიაშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ უმჯობესია საიჯარო ქირის გაანგარიშება მოხდეს არა ქონების პირველადი ღირებულების, არამედ მისი საბაზრო ღირებულების მიხედვით.

მ. ბურდიაშვილმა აღნიშნა, რომ „თელავ-გაზი“ არის კერძო კომპანია და მუნიციპალიტეტის ბაზარზე სხვა არჩევანის გაკეთების ალტერნატივა არ არსებობს. შესაბამისად იმისათვის, რომ მოსახლეობა არ დაზარალდეს მიზანშეწონილია საკრებულომ მხარი დაუჭიროს პროექტს წარმოდგენილი სახით და კომპანიის ხელმძღვანელობასთან კომუნიკაციის შედეგად, შემდგომ იქნეს მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილება.

გადაწყვეიტეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 24-მა (ოცდაოთხმა) წევრმა, წინააღმდეგი 04(ოთხი) წევრი: ბ. რევაზიშვილი, ბ. ალოიაშვილი, ა. მახარიაშვილი, ლ. ძულიაშვილი

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 5-მა(ხუთი) წევრმა: ე. გურგენაშვილი, ნ.ომანიძემ, რ.ჩეკურიშვილმა, გ. ჭვრიტიძე, ზ. გრიშკაშვილი).

6. მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „საქართველოს საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის ასოციაციისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს. ნ.მეტრეველი
თანამომხს. ზ.სახიაშვილი
13.00 სთ-დან - 13.10 სთ-მდე

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 32-მა (ოცდათერთმეტი) წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 1-მა(ერთი) წევრმა: ნ.ომანიძემ)

7. მოისმინეს: „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 მაისის №11 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფისა და შეღავათების დადგენის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე“ - ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ;

მომხს. ნ.მეტრეველი
თანამომხს. ა.ფეიქრიშვილი
13.10 სთ-დან - 13.20 სთ-მდე

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 30-მა(ოცდაათმა) წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 3-მა(სამი) წევრმა: რ.ჩეკურიშვილმა, ა. მახარიაშვილი, ი.დალაქიშვილმა).

8. მოისმინეს: საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარის ლევან კოკლოშვილის თანამდებობიდან გადადგომის ცნობად მიღების შესახებ.

მომხს. ლ.ბერძენაშვილი
13.20 სთ-დან - 13.30 სთ-მდე

გადაწყვიტეს: მიღებულ იქნეს ცნობად - საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარის ლევან კოკლოშვილის თანამდებობიდან გადადგომა, 2022 წლის 15 ივლისიდან.

9. მოსმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სანამდატო, სპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის შვებულების ცნობად მიღების შესახებ.

აზრი გამოთქვას: ლ. ბერძენაშვილმა აღნიშნა, რომ ის 2022 წლის 01 აგვისტოდან - 22 აგვისტომდე იყენებს კუთვნილ შვებულებას და მისი შვებულებაში ყოფნის პერიოდში, სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობას შეასრულებს ამავე კომისიის წევრი - ალექსანდრე შათირიშვილი.

გადაწყვიტეს: მიღებულ იქნეს ცნობად თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სანამდატო, სპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის შვებულება, 2022 წლის 01 აგვისტოდან - 22 აგვისტომდე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ საკრებულოს წევრებმა გააკეთეს სხვადასხვა სახის განცხადებები.

გიგი გიგიტელაშვილმა ისაუბრა:

1. თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ კურდღელაურში სასმელი წყლის მიწოდების პრობლემასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ აუცილებელია კომპანიის ხელმძღვანელობასთან კომუნიკაციის შედეგად მოწესრიგდეს აღნიშნული პრობლემა.

2. ქალაქის ცენტრში მწვანე ნარგავების მოვლასთან დაკავშირებულ პრობლემაზე.

3. ალაზნის გამზირზე და მშვიდობის ქუჩაზე გზების რეაბილიტაციის შედეგად, გარემოს დაბინძურების თაობაზე და მან აღნიშნა, რომ სამუშაოების შედეგად წარმოქნილი მტვერი, გაუსაძლის ხდის იქ მცხოვრები მოსახლეობის ყოფას და საჭიროა მუნიციპალიტეტმა გამოყოს სატრანსპორტო საშუალება, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნული ტერიტორიების მორწყვას.

ი. კველიშვილმა ისაუბრა წინანდალში ტექნიკური წყალის მიწოდების მწვავე პრობლემასთან დაკავშირებით.

გ. ლაფაურმა ისაუბრა ტექნიკური წყალის მიწოდების პრობლემის მიზეზებთან დაკავშირებით და აღნიშნა რომ მან საკითხი შეისწავლა საფუძვლიანად და აღმოჩნდა, რომ პრობლემა გამოწვეულია სეზონური დატვირთვიდან გამომდინარე, რადგან წლის ამ პერიოდში სოფლებში მიმდინარეობს სარწყავი სამუშაოები.

საკრებულოს თავმჯდომარე



თენგიზი მთვარელიშვილი